



33  
1919

ფასი 6 მანეთი.

№ 2.

# მშობლის მათრახი

ტვირთა,  
დამბეჭდის 7  
1919 წ.

ემილინ პოტახი  
1919 წ. № 2.  
ნ.ვ. № 459

უცნაურ სამსჯავროს წინაშე



კარლო ჩხეიძე. ირაკლი, უმაწვილო, შენ რაღა ატყობ: იტყვის რამეს, თუ არა?  
ირაკლი წერე იელი. რა ეჩქარება, ჩემო კარლო, იტყვის როდისმე.

459

ქ.ი.ი.ი.ი.

# ა ღ ლ უ ე ი

აჰა, მოვიდნენ, მოჯარდნენ, კარზე მომაღდნენ თემები,  
 როგორც ნავთსადგურს ღელვის დროს თავშესაფარად გემები...  
 უნდათ სიმრავლით დამჯახბონ და ამირიონ დავთრები,—  
 ჭფიქრობენ, ეველას ერთბაშად დავეწაფები, დავთვრები!  
 ვერ გასჭრის მათი ოინი, მათი ხერხი და ფანდები:  
 წუურვილს ნელ-ნელა მოვიკლავ, არა თუ დავიფანტები!  
 ისე ავასხამ, ვით მწვადებს, შამფურზე წამონაკებსა:  
 ჯერ ჩვენს მინისტრებს დავრახმავ და იმათ ამხანაგებსა.  
 მერე ქვევითკენ წამოვალ,—ტურისტად მოვიკანსები:  
 ფერდობზე უნდა დავაწყო დიდ მოხელეთა რახმები.  
 ძირს დავეშვები თან და თან, გზა კვლავ ბევრი მაქვს სარები!  
 იქ დამხვდებიან მწკრივ-მწკრივად სხვა და სხვა კომისარები.  
 საქმე შუაზე გაწელება, აქ თუ შევჩერდი, დავები...  
 ლარივით უნდა გავმართო დაბლა ქალაქის თევები!  
 წინ მივალ, მივეჩქარები, უკან აროდეს ვბრუნდები,—  
 ჩვენი ერობის მიცდიან იქ მოღვაწეთა გუნდები.  
 აგერა, ზუბლიცისტები ჩამწკრივებულან ეველანი:  
 სისხლის მკვიერ მარღვებში უღელავო შავი მელანი.  
 ეს ვინ ჩამახსის: „ნუ ჩქარობ, ნუ მიედ-მოედებიო:  
 არ დაგრჩეს დაურახმავი ქართველი ზოეტებიო!“  
 იქით გაჭხედეთ: შეურილა კრებული ჰედაგოკების:  
 სახელმძღვანელოს შედგენა რომ უჩანთ საქმედ მოკების.  
 იმ ორს უცქირეთ: ერთმანეთს როგორ ლანძღავენ ის ორნი...  
 მუსკოსები არიან, მხატვარნი თუ რეჟისორნი?  
 რარიგად იფუფებიან ეს ქონდრის კაცის სწორები,—  
 სტუდენტად დასაწუნარი ქართველი პროფესორები.  
 ერთი ამათაც შეჭხედეთ, მწკრივიდან გამოხეილიებს,  
 კომბინაციის მოხელეთ, სამსჯავროს ნაფიც ვიქილებს!  
 კიდეც ვერ მოვრჩი: მეტი მეავს, მრავალჯერ მეტო, ჯარები:  
 სხვა და სხვა ჯურის მოღვაწე, ცნობილი მტიჩარები.  
 როდესაც ეველას დავრახმავ და ჩავამწკრივებ რიგ-რიგად,  
 „ემპაკის მათრახს“ წარვაულენ იმათ წინაშე შიკრიკად!  
 და ისეთ ალღუმს გავმართავ, და ისეთ სანახაობას,  
 სასოფრად დარჩეს ჯერ ჩვესას, მერე მომაღალ თაობას...  
 თუცა მოვიდნენ, მოჯარდნენ, კარზე მომაღდნენ თემები,  
 როგორც ნავთსადგურს ღელვის დროს თავშესაფარად გემები,  
 უნდათ სიმრავლით დამჯახბონ და ამირიონ დავთრები,—  
 ჭფიქრობენ, ეველას ერთბაშად დავეწაფები, დავთვრები,—  
 მაინც ვერ გასჭრის ოინი, მათი ხერხი და ფანდები:  
 წუურვილს ნელ-ნელა მოვიკლავ, არა თუ დავიფანტები!

# ეკონომიური წვეთები.

ნეტავ ფეხები მომტეხოდა და გუშინ სამხარეულოშიარ შევსულიყავი! ჩემზე ყველაფერი ახია! „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო“. მართალია, ჩემს უბედურობაში პატივცემულ „ერთობის“ რედაქციასაც წილი უძევს, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც მე ვარ.

— შე სულელო ჩემო თავო, — ფიქრობდი გუნეაში, როცა დაკოჭივებული შუბლით სამხარეულოდან გამოვიდიოდი, — რათ ეჩხირები სხვის საქმეში? იმ გაზეთს შენს გარდა ასი და ათასი სხვა წაიკითხავდა, მაგრამ ამისთვის ოჯახში აურზაურს არ ასტეხდა. აბა სად გაგიგონია სამხარეულოს საქმეებში გაზეთის მოწინავე წარლით ჩარევა?

ახლა ჩემთვისაც აშკარაა ყველაფერი ეს, მაგრამ იმ უამად მთელის ჩემის არსებით წერილის გავლენის ქვეშ ვიყავი და ჩვენი რესპუბლიკის შენობას ცალ-ცალკე წვეთებით აგებულს თითქო ცხადლივ თვალით ვხედავდი. სწორეთ ამ კეთილის და უაღრესად მოქალაქობრივი ზრახვებით განსჯეული შევედი სამხარეულოში, სადაც ჩემი მცუღლე სადილს ამხადებდა. — ნეტავ რა მოხდა, რომ სამხარეულოში ფეხი შემოგიცდა? აღერსიანად მკითხა თეკლემ და ცოტა არ იყოს ჩემი ფარული განზრახვა გაანელა.

— შემოვედი ისე, ... მინდა ვნახო ოჯახში რა ხდება...

— მეც ის მაკვირვებს, რომ რაღა მაინცა და მაინც დღეს მოგინდა? ამ დროს შენ ხომ სამსახურში უნდა იყო?

— ეს უფრო დიდი სამსახურია. ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკის საქმე ეკონომიკაზეა დამყარებული და არა ჩვენს იდეალურ სურვილებზე.

ეს ჩემი დებულება თეკლეს აღბათ არ გაუგონია, ვინაიდან ამ დროს აღუღებულ ქვებს რკინის ხელი ამოსდო და პლიტის შუაგულიდან მარჯვენა კუთხისკენ გადასდია.

— ჩემის აზრით, (უნდა მოგახსენოთ, რომ გაზეთის აზრს ოჯახში ყოველთვის საკუთარ აზრათ ვასაღებ ერთგვარი პრესტიჟის დასაცავათ) ჩვენ დიდი სამსახური შეგვიძლია გაუწიოთ სახელმწიფოს...

— კარგათ კი გაუწევ დახმარებას, სამსახურის დროს თუ სამხარეულოში გაატარებ.

— წელან გითხარი და ვერ გაგავონე, რომ ჩვენი ხსნა დღეს-დღეობით მხოლოდ ეკონომიკაშია და არა იდეალეში. ხომ ხედავ როგორ გაანიავა ჯერ ომმა და შემდეგ კიდევ მისმა კატაკლიზმებმა საუკუნოებით დგროვილი ქონება?

— ადამიანო, შენ ხომ არ გაგიჟდი; რაებს ლაპარაკობ?

— მე ვლაპარაკობ იმას, რაც ყველა მოქალაქემ უნდა ილაპარაკოს.

— დაჯექი და ილაპარაკე. მთელი შენი სი-ცოცხლე ლაპარაკობ და არაფერი შენი გაკეთებული არ მინ ხავს.

— სწორედ ამ უკანასკნელსიტყვებთან ერთად თეკლემ ერთი კოვზი მარილი ქვაბში ჩაყარა, შემდეგ წვენი ამოიღო, რამოდენიმეჯერ სული შეუბერა, ცოტა შეხვრიტა და კიდევ ერთი კოვზი მარილი ქვაბისკენ გადაისროლა.

— აბა ეს რ.სა ჰვავს? განა ეს არის ოჯახის და ქვეყნის სამსახური? აღელვებულისა და მოქალაქობრივი მოვალეობის კილოთი მივმართე დიასახლისს.

— რა ამბავია? ცოტა შემკრთალი ხმით მიპასუხა თეკლემ და თვალები დამაშტერა.

— გაგონილა, ქლო, ამდენი მარილის განიავება?

— კაცო ხომ არ გაგიჟდი, მარილს ვინ ანიავებს; რა განიავება მარილს სჭირია!

— მე განიავებას როდი გეუბნები, მე უთაჟროლო ხარჯზე გითითებ. შენ არ იცი, რომ ომის კატაკლიზმებმა განიავა საუკუნოებით დაგროვილი ქონება, რომ დღეს პარიზში მარილის კრიზისია...

— არ ვიცი ღმერთმანი, რას ჩააცივდი ამ კატებსა და კლიზმებს... ადამიანო, მუცელში შეკრული ხომ არა ხარ?

— ოჰ რა ძნელია შეუგნებლობასთან ბრძოლა! დედაკაცო! უნდა იცოდე, რომ ერთი კიქვი მარილი, ეს ერთი ეკონომიური წვეთია. ჩვენი კეთილდღეობა ამ წვეთებზეა დამყარებული. აი ახლაც ამდენ კარტოფილს ერთად ჰყრი ქვაბში...

— მაშ რამდენი უნდა?

— მე შეკითხები, რამდენი უნდა? მე ის ვიცი, რომ ერთი ზედმეტი კარტოფილი ეს ერთი ეკონომიური წვეთია და როცა ასეთი წვეთები მთელს რესპუბლიკაში შეერთდებიან უკვე არა წვეთები, არამედ ზღვა გამოვა.

— კარტოფილიდან ზღვა გამოსულიყოს პირველად მესმის.


ამ მშვიდობიან სიტყვებთან ერთად თეკლემ ნაწევარი ჯამი ბრინჯი იმავე ქვაბში მოაპარქვა, თითქოს აქ არაფერიაო.

— ეს პირდაპირ ლალატია ქვეყნის, ეს უდიდესი დანაშაულია ისედაც გადატაცებული ერის წინაშე. დედაკაცო, ღმერთი აღარა გწამს? აბა დაუფიქრო, რასა შევბი! მითხარი სად ცხოვრობ, რომელ ქვეყნაში გგონია შენი თავი?

— შენ დღეს უთუოდ ავათ ხარ. წადი, სიცხე გაისინჯე. კვლავ განსაცვიფრებელის სიღინჯით მითხრა თეკლემ და ამით ჩემი აღშფოთება გააორკეცა.

— დედაკაცო, ნუ მიმიყვან იმ ზომამდე, რომ

1956



რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად ძალადოს მიმართვა დამკირდეს. ქართულად გელაპარაკები, მდლობა ღმერთს, ყურს არ გაკლია და გაიგონე: ამდენი ბრინჯის ერთად ქვებში ჩაყრა ეს შეუგნებლობა, ეს ბედოვლათობაა, და სხვა არაფერი. თითოეული წვეთი ბრინჯისა...

— ბედოვლათიც ხარ და მეტიც... ახლა რომ ლაპარაკობ, სადილობე, რატომ არ გაგახსენდება? შენს გაძლომას საშველი არ დაადგება ხოლმე.

— ესეც პასუხია, რალა. მაგრამ რა პასუხი უნდა მოჰკითხოს კაცმა იმ ადამიანს, რომელიც წელიწადში ერთ გაზეთსაც არ წაიკითხავს და მთელ ფილოსოფიას სამზარეულოში ამთავრებს...

— შენ თუ ყოველთვის გაზეთს აზიხარ იმისთვის გადავდღუს ქუთა. კარტოფილის ზღვა, ბრინჯის წვეთები, კატები, კლიზმები... შენი გადამკიდე, ცოცხალი რომ გადავჩრი ისიც მიკვირს.

— თეკლეს სიტყვიბმა ჩემი მოთმინების ფილა უკვე აღავსო, მაგრამ როცა მან სრულიად დამშვიდებით ოთხი ღერი შეშა პლიტას შეოკეთა, მე გაფითრებით მივიტერ პლიტასთან და მრისხანეთ შევსძახე.

— როცა მოქალაქე შეუგნებლობით მოქმედობს, ჩვენი ვალია მას შევაგნებინოთ, მაგრამ როცა ის აშკარა სინდისობას სჩადის, კვლავ ჩვენი ვალია ის ძალით შევაჩიროთ, კანონიერების გზისკენ მივუთითოთ და შევსძახოთ: შე'დიგ ბრიყვო! შენ ვერ ხიდავ, რამდენი წვეთი შეშისაწნაივდება, რამდენი ეკონომიური ერთეული იწვის. მთელს მსოფლიოში სათბობი მასალის კრიზისია; ომმა და მის მიერ გამოწვეულმა კატაკლიზმებმა საეგებით გაანადგურა საუკუნოებით დაგროვილი სიმდიდრე, შენ ამას ვერ გაიგობ, შენთვის მიუწვდომელია ამ მცნების შეკნება. შენ ვერ ატყობ, თუნდაც აი ამ პლიტაზე რამდენი ცარიელი ადგილია. რამდენი კალორია სითბო იკარგება და ჰაერში წაივდება. თითოეული წვეთი შეშისა დაუფასებელი განძია რესპუბლიკისათვის, გინაიდან წვეთი წვეთს მიემატება და ამ ურიცხვი წვეთებიდან ჩვენ დაბოლოს ზღვას მივიღებთ...

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იმ დროს თავდავიწყებამდე ვიყავ გატაცებული სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვით და არც მახსოვს, შეშის წვეთების გადასარჩენათ პლიტიდან მუგუზალი როგორ გამოვართვი. მე მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა იატაკზე დანარცხებული თეკლე წამოდგა გაკაპასებული, ჩემთან მოვარდა და რალაც შავი საგანი თავში დამკრა. მადლობა ღმერთს რომ თავზე ფაფახი მეხურა და ცოტათი ისიც შემეხიდა, თორემ ვინ იცის ჩემი გატეხილი თავი რამდენ მედიკამენტის წვეთებს მოითხოვდა და მით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებდა.

მიუხედავად იმ მარცხისა, რომელიც ამ ეკლიან გზაზე მე შემემთხვა, მიზნათ მაქვს დასახული, ჩემს ოჯახში რათაც უნდა დამიჯდეს, მტკიცეთ გავატარო პრინციპი ეკონომიური წვეთებისა. ჩემის ღრმა რწმენით, გვეყო ის ზარალი, რაიც ეკონომიურ შეგვამთხვა ამ საშინელმა ომმა დამ მის მიერ გამოწვეულმა კატაკლიზმებმა.

ეჭყაქი.

# „კომუნა“

რუსულმა კომუნამ ლენინი დაბადა... მეგრულმა სოფლები: „ბანძა“ და „ნაბადა“ გურულმა „ქვებლა“ და „სირაულ-ჩიბათი“ (რომლებმაც იგვეს სამხედრო ხიფათი) არაფერს არ ვამბობ ლენინის რუსეთზე, (რადგანაც მწყურალად ვარ საკითხზე ესეთზე), მკოდნე ვარ ჩვენებურ „სოციალიზმისა“, რომელიც ბანძას და ქვებლაში იზმისა. და აგი მკითხვილებს რომ გავუზიარო ბანძას და ქვებლას შვა მე უნდა ვიარო. არც ერთი კულტურით და პოლიტიკითა არ მიდის ქურდებს და ყჩაღებს იქითა. რედაქტორს სალაში, მკითხველებს ბოდიში... ჯერ მინდა დაეხატო საბჭოთა ოდიში, შემდეგში დაეხვეგრო, კომუნის გურია უძღვების შვილთან კვლავ უმაღურია.

„საბჭოთა ნაბადის“ „გამოსვლის“ წინათა, ეგ ფრონტი აიღეს ქურდებმა ბინათა. გასწმინდეს სოფლიდან ცხენი, თუ ძროხები. გასძარცვეს ისედაც ღარიბი ქოხები. ახმედრდენ ქურდებზე ნაბადის გლეხები; შეაწყვეს სამხედრო სიარულს ფენები და მწყობრად მოადგენ უზრავის კარებსა (ზომასაც მიმართეს შუნ მოსახმარებსა) ნებართვა ითხოვეს ქალაქის თავისგან რომ ხალხი დაიხსნან მოვლენის ავისგან. ძლიერი „ილორის“ იქ ჩამოსვენების... (ცნობილი მომსპობი ქურდობის ხსენების) ილორი კოლხიდის ცნობილი ხატია, „საბჭოთა ნაბადამ“ მისთვის ვერ დატია.

(შემდეგი იქნება)

ბუტუნა.



# კომუნიზმი და დენიკინიზმი საქართველოსკენ.



რადგან ჩრდილოეთში ლეღვის ფურცელი არ იზოვება, ჩვენში შემოსულ „კომუნისტებსა“ და დენიკინელებს სარცხვენალი ნაწილი „კერენსკებითა“ და „ნიკოლაევკებით“ აქვთ დაფარული.

## ზურკე \*)

ნება მიბოძეთ, ბატონებო, ეს საღამო, რომელიც გრიშაშვილმა ფინანსიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლათ გამართა, მე ჩემი საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოვიყენო.

მართალი უნდა მოგახსენოთ, თავდაპირველათ გადაწყვეტილი მქონდა, თქვენთვის წამეკითხა სადღეისოთ დაშვადებული იუმორისტული ესკიზი ამ სათაურით: „მურჰან ვეზირის მოგზაურობა ინდოეთში, ანუ როგორ დაჰკარგა საქართველომ უდავო ტერიტორია“. ამ ესკიზში მე დაწვრილებით მქონდა აწერილი, როგორ გაემგზავრა მურჰანი მომაკედავი აბსალომისთვის უკვდავების წყაროს წყლის მოსატანათ, როგორ გაიარა ბოტანიკურ ბაღის ორღობე, შეიოჟარა კოჯრის მთასა და მიაღმა სოფელ კიკეთს. აქ მას გამოეგება ინგლისელი კაპიტანი მისტერ ჯონჯოლი დიდი ბრიტანეთის დროშით და განუცხადა:

— მისტერ მურჰან! თქვენ გადმოლახეთ დიდი ბრიტანეთის კოლონიის საზღვარი და ამჟამათ უკვე ინდოეთის ტერიტორიაზე იმყოფებით... უპორჩაღესათ გთხოვთ, უკან დაჰბრუნდეთ.

\*) თქმული გრიშაშვილის საღამოზე, სახელმწ. თეატრის სცენაზე.

— როგორ თუ ინდოეთის? განცვიფრებით წამოიძახა მურჰანმა: განა კიკეთი საქართველოს საზღვარში არ არის?

— ჩვენც აგრე გვეგონა, მისტერ მურჰან, „აბსალომისა და ეთერის“ დადგამაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ პირველად იმდერეთ ამ სცენაზე საჯაროთ თქვენი „აქლამდელი ღამეა“, აშკარად დამტკიცდა, რომ კოჯრის მთას იქით ინდოეთი იწყება და ამისდაგვარათ, თანახმად გენერ. ბრინჯის განკარგულებისა, ეხლა კიკეთსა და სხვა მოსაზღვრე სოფლებში ჩვენი პიკეტები სდგანან...

რალა გაეწყობოდა? მურჰანი იძულეტიული გახდა უკან გამობრუნებულიყო, საქართველომ კი ხელი აიღო ყოვლად უღვო ტერიტორიაზე.

ეს სამწუხარო ამბავი მქონდა დაწერილებით აწერილი იმ ესკიზში, რომელიც მე თქვენთვის წასაკითხათ დავწერე სადღეისოთ, მაგრამ ერთმა გარემოებამ აზრი შემაცვლევინა.

შემოვდგი თუ არა ფეხი წელან თეატრში, ვესტიულისშივე თვალის შევასწარ ერთ ზურგს, რომელიც მაშინვე დაჰფარა ჩემსა და მის შორის გამკლელმა კაცმა, ასე რომ მე იმ ზურგის მხოლოდ ერთი თვალის მოვლება ძლივს მოვასწარი, მაგრამ ესეც საკმაო იყო ჩემთვის: ის იყო და ის! ჩემი გუნება წახდა, გაფუქდა. ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ზურგის დანახვამ, რომ ყოველივე ხალისი წამართვა და რალაც მოსალოდნელი

საფრთხისა და შიშის გრძნობამ ამიტანა. ალბათ ასეთ გრძნობას ნადირი თუ განიცდის, მონადირის ნაკვალევს რომ წააწყდება ტყეში უეცრად.

საკვირველი ის იყო, რომ მე არა თუ არ მიცნია იმ ზურგის პატრონი, არც კი დავფიქრებულვარ იმისთვის, რომ მეცნო იგი. დაჰვიწყდა კიდევ მაზიხვე ეს ამბავი და ის ნალექი, ის საძაგელი გრძნობა მოსალოდნელ ფათერაკისა და თავდაცვის ინსტინქტი მაინც ჩამრჩა გულში და არ მშორდებოდა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორეჯერ წავეწყდი იმავ ზურგს, აი ამ რამდენიმე წუთის წინ პარტედან რომ მოვდიოდი, დავრწმუნდი რომ ჩემი წინადგრძნობა საფუძვლიანი იყო; რომ მოტრიალდა, დავინახე ის, ვის შეხვედრას ისე გაფურბი, როგორც პარიზის კონფერენცია სერიოზულ საკითხებს: ჩემ წინ იდგა და მიღამოდა ჩემი შევალო, რომლისაგანაც მე კარგა დიდი თანხა ვისესხე ამ ხუთი თვის წინათ ერთი თვის ვადით და ჯერაც არ მიმიცია.

საკვირველია ღმერთმანი, როგორ გამოცვლის ზოგჯერ ადამიანს რაღაც წილით თვე! რა სიმპატიური სახის იყო მაშინ და როგორი უწინა და შეუხარავი გამხდარა!

დამალვა ან გაქცევა გვიანდა იყო. ჩემმა მევალემ დამინახა კიდევ და მეც უნებურად გავშეშდი ერთ ადგილას, თითქოს დაჰქედესო და შეშინებულის თვალეებით მივაშტერდი. იმ დროს ალბათ იმ კურდღელს ვგავდი, მახრჩობელა გველს რომ წააწყდება და გაქცევის მაგიერ ზედ გველისკენ კი მიდის ელდანაცემი და გონდაკარგული.

— გაპარჯობა, კაცო, შენი! დამიძახა მან: როგორა ხარ?

— გაგი... გაგიპარჯოს—ძლივს წავილულლულდე მე და სულელურათ გავიღიპე (ეს კარგათ ვიგრძენი).

— მონაწილეობას იღებ გრიშაშვილის საღამოში?

— მშვე... გმადლობთ, არა უშავს რა... დიახ, დიახ, მონაწილეობას ვიღებ!

სულ მთლად დავიბენი და ოფლში გავიწურე.

„ახლა მეტყვის, ახლა მეტყვის“, ვფიქრობდი მე, მაგრამ სწორეთ იმ დროს, როდესაც, დარწმუნებული ვარ, ვალის ამბავი უნდა ეკითხა—უშველოს ღმერთმა—ვიღაც ქალმა დაუძახა და მეც ფიცხლავ სცენაზე გავჩნდი.

ხომ ერთ წუთს გაგრძელდა მხოლოდ ჩვენი ლაპარაკი, მაგრამ ის ერთი წუთი ისე გაპიგრძელდა როგორც ერთი საუკუნე... საუკუნე რა არის? როგორც წუწუნავას ანტრაქტი.

ეხლა მე სამშვიდობოს ვარ. ის ჩემი მევალე მანდ ზის, პარტერში, აი ეგერ, მე-5 თუ მე-6 წყებაში, მე კი აქა ვარ სცენაზე, მისთვის მიუწლომელი და ხელშეუხებელი.

და აი მე გადავწყვიტე, ეს ჩემი იმუნიტეტი ანუ

შეუვალობა სავსებით გამოვიყენო და აქ საჯაროთ ქვეყნის წინაშე გავუზღაღენო ჩემს მევალეს:

— ამ დღუნია ხალხის დასწრებით საჯაროთ ვაცხადებ, რომ მე მისი ვალის გადახდა არ შემიძლია!

თაკუნა.

### ქრონიკა

**ბინევი სენატორთათვის.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ბინის მოპარაგების კომისიას საბოლოოთ გადაუწყვეტია, რესპუბლიკის სენატორებს დაუთმოს ნავთლუღის დასწვრივ, ეგრეთ წოდებულ „ნესამასე ვერსზე“ არსებული ბარაკები იქ მობინადრე ლტოლვილებს ქალაქის გამგეობა სამინისტროების მიერ დაცლილ შენობებში გადმოიყვანს, თუ სომხურმა ნაციონალურმა საბჭომ ამის წინააღმდეგ პროტესტი არ განაცხადა.

**ღვაწლის დაფასება.** საქართველოს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ in corpore დაასვენა: წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დეკრეტი, რომლითაც „დამფუძნებელი კრების“ ქუჩას უნდა დაერქვას „სოლომონ ზურგიელიძის“ პოსტპეტტი. იმედი აქვთ, რომ განხილვის დროს დიდი მოსწონის პოპულიარობა შეაერთებს ყველა ფრაქციებს და დეკრეტი ერთხმად იქნება მიღებული.

### დარბიგება

„მეზ. მათრ.“ თანამეზამახელთათვის.

**სწერე მოკლედ:** აზრი ისე უნდა იყოს მომწყვდეული სიტყვებში, როგორც კვერცი—ნაქუქში. გრძელ სიტყვაში აზრი ითქვიფება.

**სწერე მიუდგომლად:** გახსოვდეს: მწერლობა სამსჯავროა, მწერალი კი—მსაჯული.

**ერიდე უვემურ პრანჭვა-გრებას წერაში:** ერთი ქვეიანის ღიმილი გერჩიოს ათასი ტუტუკის ხარხარსა.

**ძალით ოხუნჯობა არ იქნება:** ილიაში ღიტიით ერთ კაცს გააცინებ, მთელს საზოგადებას—ვერასოდეს.

**ფრთხილად აირჩიე დასაცინავი საგანი:** დაცინვა ორპირი იარაღია: თუ მოხმარება არ იცი, შენვე გიგმირავს.

**ნუ ჰზოგავ ზოგადსა და მუდმივს ერიდე კერძოსა და შემთხვევითს:** ქორიკანობა ყველასათვის სირცხვილია, ხოლო მწერლისთვის-სიკვდილი.

# ბალახივადის ოპერაზე ნადირობა



**ფოცხვერაშვილი.** ბიჭო, აგერაა, აი, ამ ჩირგვში! არიქა, უშველე!  
**წუწუნავა.** მოვკლათ თუ ცოცხლად წავეყვანოთ?  
**ფოცხვერაშვილი.** არ ესროლო, არ გაგიწყერეს ღმერთი, თორემ ვინ უნდა დაამთავროს?

## ვინა თქო, ახალთაობა არ ვარგაო?!

ვინა თქო, ახალთაობა არ ვარგაო? მიუქარავს და თავი ქვისთვის უხლია! მაშ ძველი დროება და ეხლანდელი ერთია? რას ამოფ, კაცო, სად ძველი დროება და სად ეხლანდელი! ძალიან დიდი რაზნიცაა მე და ჩემმა ღმერთმა. აი, ნაპრიმერ, თუ გინდა ცოლის შართვა ავილოთ. სად მაშინდელი ცოლის შართვა და სად დღევანდელი. ძველებურათ ცოლის შართვა პირდაპირ ტიომნი კარტის თამაშობა იყო რაღა! გაეხვევოდა ქალი რაღაცა ჩარღში, პირი ახვეული ჰქონდა... ერთი სიტყვით, ისეთი ზაკუბრენი და თავდაცული იყო რომ გეგონება, ბორჯომცკი წყალის ბუთლიკააო! ერთი სიტყვით, ისე იყო დაფარული რომ ნემსის ოდენა ჭუჭრუტანა არა ჰქონდა რომ კაცს შეეხდნა საიდანმე! რასა სთხოვლობდი, ვინ მიგყვანდა რომ არ იცოდი კაცმა!

ელამი იყო, ბრუციანი იყო, გლუხოი იყო, ქალი იყო, კაცი იყო, ქაჯი, თუ ეშმაკი!!!  
 ორთაქალის კინტო რომ გაპოეხვიათ ჩარღში და ეჩვენებიათ, მაინც ვერ გაიგებდი ქორწილამდინ, სანამ ხელს არ მოუცაცუნებდი.

აი, ჩემი სირანი რომ მაჩვენეს, ბევრი უჭვრიტე: ხან ქვეშიდან, ხან ზევიდან, ხან წინიდან, ხან უკანიდან, მაგრამ ვერა დავინახე რა! ახში მაინც ცალი თვალით ბრუციანი შამამატყუილეს.

მერე იმ პირძაღლს, სირანას, ისეთ ნაირათა აქვს ის მარჯვენა თვალი მოჭუტული, გეგონება, ვილაცას ვარშიყება და თვალს უშვრებაო! მეც კაცი ვარ, არა! სულ ჭიჭინაზე ვსქვები იმისი ყურებით და ბრაზისაგან ვიბერები. არა, რა დროს იმის არშიყობაა, დედაკაცს კული ვერ აუწევი, მაგრამ მე მაინც ვრევოსტნობ.

ახ, ეხლა დასაქორწილებელი უნდა ვიყო, რომ ნაღდი საქონელი ვითხოვო. გოგო მოვიყვანო.. გოგო მოვიყვანო, როგორც ანტიკა! მე შენ ვითხრა ეხლანდელ ქალებს ვერ გაუგებ აი, რა აქვს და რა არა! ეს სახე ხომ ატკრიტია და ჰხედავ რაც არის. გულმკერდი ხომ ისე აქვს მოშიშვლებული რომ პოსლედნი მიკროსკოპიჩესკი პიატნასაც კი დაინახავ. კლავებზე ხომ პაჩტი ყველა ქილკებს დაუთვლი, ისე აქვს მოტიტვლებული. ახლა, ეს მოკლე კაბები რომ შამაილეს, ფეხებს არ იტყვი როგორ ვისტავკაზე გამოტანილი! შავია, თეთრია, მსხვილია, წვრილია, სულ აშკარათ გიდგა რაღა თვალწინ. მერე ამ სიძვირის გამო უჩუღქოთ რომ დაიწყეს სიარული ხომ იასნათ უყურებ ყველაფერს, კოჭებიდან დაწყობილი მუხლის კვირისტავამდინ

# სურათი, რომელსაც



„მათრახის“ გამოსვლამდე.

სულ თითო-თითო დათვლი რაღა, თუ ვის რამდენი ჟღერა-ძარღვები აქვს. მთელი კროვენოი სასუდები სულ იასნათ იხედება რაღა!

აი გიდი, სად იყო უწინდელ დროში ასეთი გულ-მკედრ ფეხების ჩვენება, თორემ დედაკაცის ამორჩევაში მე ვინ მაჯობებდა!

არა, ღვთის წანაშე ამორჩევაში არც მე მოეტყუილებულვარ. ჩემს სირანას ფეხები კარგი აქვს, მაგრამ ის ცალი თვალი რომ გერპანიაში მიუბრის, ას კი აღარ მომწონს!

აფსუს, რა დროებას მოვესწარით და კიდევ გამოდიან ვიღაც ტუტუტუები და ამობენ თუ ახალი დროება არ ვარგაო! გიჟები არიან და სუმაშეჩები ვინც იმას ამობენ! სად ძველი დროება და სად ახალი!

ძველებური ქალის შართვა თვალახვეული ვაჭრობა იყო და დღევანდელი კი ნაღია, ნაღი.

რას ამოფ, კაცო! ქალს აშკარად უყურებ, მისი სახე იცი, კისერი იცი, მკლავები იცი, ფეხის კოჭები იცი, კანკები იცი, მუხლის კვირისაგები, იცი.... ერთი სიტყვით სულ ყველაფერსა ჰხედავ რაღა!

მართალია ზოგიერთი ჩასტი დააღუღია, მაგრამ ის ნარდათ ავიღოთ, რაც იქნება, იქნება! ვაჭრობა რისკია რაღა!

გოგია

## ორი თამრიკო.

რომ იცოდეთ, როგორ მომწონს თამრიკო!.. მთვარეა, მთვარე!.. მის მრგვალ მოხდენილ სახეს ამშვენეს მაყვალევით შავი თვალები... ორი მსხვილი მაყვალი!.. მის ტუჩებზე დაკონება სიცოცხლეა! მართალია, დიდი ხნის გაცნობილი არა ვარ მასთან, სულ რაღაც სამი კვირაა, მაგრამ არა თუ „შენ“-ობით ველაპარაკები კიდევ, მის ტუჩებზე დაკონების სათვალავიც დავკარგე.

გუშინ საღამოს წაველი მის სადგომისაკენ, მიველა და ქიშკარში ავიტუზე. მას მოველოდი... აგერ, ჩამოგომანდა თამრიკო კიბეზე, მოდის ჩემკენ... მეც მისკენ გავეჭანე...

— გამარჯობა, ჩემო გვრიტო!..

— ახ... გავიმარჯოსთ...

— რად შეკრთი, ჩემო კარგო?

— უკაცრავად!..

— ან ეგ თქვენობით ლაპარაკი რას ნიშნავს!..

— მე... მე...

— რა მოხდა, ოქროვ? ენა გებმის, ვერას ლაპარაკობ...


— არაფერი, თავი მტკივა!..

— სხვა, როგორ დაბრუნდი წუხელი სახლში? ჩემი ამბორი ხომ არ გვისმრებოდა? თამრიკომ თვალები დაჭყიტა და შემომამშტერდა.

— როგორ თუ ამბორი?..



# წარწერა არ სჭირია



„მათრახის“ გამოსვლის შემდეგ.

— მიკვირს, ღმერთმანი, რა დაგემართა?... ნუ თუ აღარ გახსოვს გუშინდელი ღამე?  
 — მე?... გუშინდელი ღამე?..  
 — ნუ ეშმაკობა!.. ხომ იცი, მე არ მიყვარს ეშმაკობა... წამო, გავისეირნოთ მუშტაიდში...  
 თამრიკო კვლავ გაშტერებით შემომყურებდა...  
 — თამრიკო, წავიდეთ?..  
 — თამრიკო?..  
 — ჰო, რა გაგიკვირდა?... მგონი, ნათლიამ თამრიკო დაგარქვა!..  
 — უკაცრავათ! მე თამრიკო კი არა, მარიამი მქვინ!  
 — მარიამი?..  
 ნათლად შევატყე ჩემს თავს რომ ორი გრადუსი სიცხე მომემატა ერთ წამში.  
 — გცხვენოდეთ, ყმაწვილო. მე ამას ასე არ დავსტოვებ...  
 — უკა... უკაცრავად... თქვენ ვინა ბრძანდებით?..  
 — მარიამ ნარიძე, თქვენი თამრიკოს უფროსი და... არა!.. მე ამას ასე არ დავსტოვებ... კარგ ღღეს დავაყენებ თამრიკოს... დამიხედეთ, საყვარელიც კი გაუჩენია...  
 მე გაშტერებული ვიდექ.  
 მარიამი გაწიწმატა...  
 — არა, ერთი უყურეთ და!.. თამრიკოს საყვარელი!.. მოიცადეთ, ვხლავ ვუჩვენებ სერს თამრიკოს...

ძალზე აღელვებული სახლში შებრუნდა.  
 მე კვლავ გაშტერებული ვიყავ. ღმერთო ჩემო!.. ასეთი მსგავსებაც შეიძლება? ხმაც კი თამრიკოს მსგავსი ჰქონდა!..  
 ჭიშკართან დგომა საშიში იყო... ერთიც ვნახოთ, თამრიკოს გულფიცხი მამა ჰყავს!..  
 და მე მოვკურცხლე შინისაკენ.

გუგული.

## ორი მეტოქე

(მოთხრობა—ამერიკული. ავტორი—იტალიელი. მთარგმნელი—ქართული).

ჩრდილო-ამერიკის უმაკრეს ქალაქთა შორის ქ. მინქა ცნობილია თავისი სიდიადით. სხვა მრავალი სასწაულოთ გარდა ამ ქალაქში არის უზარმაზარი მუზეუმი. ყოველ უცხოელს, რომლის თვალს წარმოუდგება მე 420 ქუჩიდან დიდებულ მეცნიერების მოედანზე გავლის დროს განსაცვიფრებელი აიდიდე მუზეუმისა, უთუოდ გული უნდა წაუვიდეს ამ სანახაობით.

მაგრამ რამდენად უნდა გაიზარდოს მისი განცვიფრება, როცა ის გაიგებს, რომ ურცხვ აგენტების დაუღალავ შრომის წყალობით, რომელნიც გაბნეულნი არიან მთელ დედამიწის ზურგზე და ოქროს ფასად ყიდულობენ ყველაფერს იშვიათს და უნახავს, მუზეუმში თავმოყრილია მთლიან ას ოცდა ხუთი ათასი უნიკუმი, დაწყებული ქარხლით,

რომელიც ძალიან ჰგავს ნაპოლეონ I-ს სტატუეტკას, და გათავებული ვეფხისა და გველეშაპის მეულღეობის ნაყოფით.

ბუნების ყველა სამეფოს ყავს მუზეუმში წარმოქმნილები, როგორც მკვდრები, ისე ცოცხლები. მართო ცოცხალთა რიცხვი უდრის ოთხმოც ათასს, — ადვილად წარმოსადგენია, რამდენი ჯდება მათი შენახვა!

ამიტომ არც გასაკვირია, რომ მუზეუმის დირექტორის თანადგობა ითვლება სანატრელ ადგილად, ვინაიდან ჯაბაგირი მეტად დიდია და თავისი ღირსებითაც ეგ თანადგობა მხოლოდ შეერთებულ შტატების პრეზიდენტის თანადგობას თუ ჩამოუვარდება!

ცხადია, მაშასადამე, რომ ამ თანადგობის კანდიტატებსაც არაჩვეულებრივ მოთხოვნილებებს უყენებდნენ. დაწესებულ სტატუტის თანახმად მუზეუმის დირექტორობა შეეძლო მხოლოდ გამოჩენილ მეცნიერს, რომელსაც გარდა მაღალი ერუდიციისა უნდა ჰქონოდა შესამჩნევი გარეგნობაც და, რაც უმთავრესია, უნდა ყოფილიყო ავტორი რომელიმე დიდებულ მეცნიერულ აღმოჩენისა და წარმოედგინა მუზეუმში ერთ-ერთი უნიკუმი.

მუზეუმის დაარსებიდან იმ დრომდე, რომელთანაც დაკავშირებულია ეს მოთხოვნა, დირექტორად იყო ცნობილი კანარი, რომელმაც აღმოაჩინა ზღვის რწყილი, რომლის დანახვა არავითარი მიკროსკოპით არ შეიძლებოდა. კანარმა ის აღმოაჩინა ვეშაპის ტყავზე და არა მარტო ასწერა დაწვრილებით მწერის თავისებურობა და ცოცხლად წარმოადგინა ის მუზეუმში, ამავე მეცნიერულადაც დაასაბუთა თუ რა გზით გადადის ამ რწყილის ჩანასახი ვეშაპიდან ზღვის ღორზე, ზღვის ღორიდან — თეთრ დათვზე, დათვიდან — ესკ მოსის ძაღლზე, მელაზედ და შემდეგ მელას ტყავთან ერთად ნიუ-იორკის მეხუთე უბნის ყველაზე ულამაზეს მანდილოსნებზე.

კანარი დირექტორობდა 50 წლის განმავლობაში ორი თვის დაკლებით, და ამ ქამად მისი სიკვდილის გამო ადგილი თავისუფალი იყო.

პრეტენდენტებში, რა თქმა უნდა, არ იყო ნაკლებობა. ექვსმა გამოჩენილმა მეცნიერმა დაუყოვნებლივ წარმოადგინა თხოვნა, მაგრამ ოთხმა მათგანმა როცა გაიგო რომ მათ მოუხდებოდათ მეტოქეობა ორ ბუმბერაზ-მეცნიერთან: რაპაზონთან და სიბურიჩთან, უმაღლეს მოხსნა თავისი კანდიდატურა და ბოლოს დარჩა მხოლოდ ის ორი, რომელთაც უნდა დაეპტიციებიათ თავისი უფლებები.

რაპაზონი გაემგზავრა ხანგრძლივ ექსკურსიით ამაზონკის ნაპირებისაკენ და იქიდან ჩამოიყვანა მშვენიერი ვარდისფერი წურბლები. მაგრამ ეს წურბლები მარტო ფერით როდი განსხვავდებოდნენ ჩვეულებ-

რივ წურბლებისაგან. რაპაზონმა აღმოაჩინა რომ ისინი სისხლს კი არ სწოვდნენ, არამედ იკვებებოდნენ ტვინით: მაგრამ შესანიშნავი ის იყო, რომ რაპაზონმა ეს წურბლები გამოიყენა სხვა ახალ უფრო სერიოზულ აღმოჩენისათვის. მან დაამზადა სხვა და სხვა თვისების ნივთიერებანი, რომელთაც ის ასხამდა ერთგვარი შეშხაპუნებით ამ წურბლების მიერ დაცარიელებულ თავის ქალაში და ამნაირად შეეძლო ადამიანისათვის მიეცა ისეთი თვისება და ნიჭი, როგორც უნდოდა. მაგალითად:

ფუტურისტისათვის საჭირო იყო ცარიელ თავის ქალაში ჰაშიშის შეშხაპუნება

ბოლშევიკისათვის — სანის ბუშტის.

ანარქისტისათვის — დინამიტის.

ესთეთიკოსისათვის — ვარდის წყლის.

ლენერლისათვის — მამლის ტვინის.

სპეკულიანტისათვის — დამპალი კართოფლის.

მუსიკოსისათვის — თაფლის.

ორატორისათვის — შეკუმშულ ჰაერის.


დენიკინელისათვის საჭირო იყო თავის ქალის ცარიელად დატოვება.

როცა საზოგადო კრებაზე რაპაზონმა წაიკითხა თავისი მოხსენება და დამსწრეთ უჩვენა საკვირველი წურბლები, მეცნიერთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ როგორ აგიწეროთ ის საერთო გაშტერება, როცა რაპაზონის მეტოქემ სიბურიჩმა აიღო ის ქებული წურბლები და ჩასვა რაღაც სითხეში, სადაც ისინი უცებ გახუნდნენ და ვარდის ფერის ნაცვლად მიიღეს ჩვეულებრივი წურბლის შავი ფერი. სიბურიჩმა განუცხადა საზოგადოებას, რომ ეს წურბლები ჩვეულებრივი წურბლებია, მხოლოდ მათ ჰქონდა შეშხაპუნებული განგებ შეფერილი სითხე, რომელიც შესთავაზეს რაპაზონს მისმა აგენტებმა. არავითარი გამოკვლევა, — ყველაფერი სიყალბეა!

გათავდა იმით, რომ საბრალო რაპაზონი იქვე კუთხე შეცდა და გაგზავნილ იქნა სხდომიდან პირდაპირ სულით ავათმყოფთა თავშესაფარში, საიდანაც ის მალე გამოუშვეს, ვინაიდან გამოირკვა, რომ ავათმყოფი სრულიად არ იყო საშიში, რადგანაც უბედური მეცნიერის სიგიჟე გამოიხატებოდა მხოლოდ ირონიულ ღიმილში და ეშაქურ თვალის აკვრაში, რომლისგან თავს ვერ იკავებდა მაშინაც, როცა ყურს უგდებდა ვილსონის მხურვალე სიტყვას ხალხთა ლიგის შესახებ.

(შემდეგი იქნება)



## საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქე!

„ეშმაკის მატრახის“ პირველი ნომერი უკვე დაიტაცა მადლიერმა საზოგადოებამ. თფილისის საქალაქო მილოციის ოქმებიდან აშკარათ სჩანს, თუ რამდენ ალაგას მომხდარა სისხლის მღვრელი შეტაკება „ეშმაკის მატრახის“ უკანასკნელი ცალის შექმნის მსურველთა შორის.

მომხდარა ასეთი მაგალითი: დილის ოთხ საათზე კლუბიდან სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლისათვის „ეშმაკის მატრახი“ ვერ მოუტანია. ამ უყურნალობის ნიადაგზე რომანიული ნიადაგი აღმოცენებულა. საიდუმლოთ მოგახსენებთ, რომ ქმარს ვერ უშველა განცხადებამ: „რაც ფული მქონდა კლუბში წავაგეო“ და ენერგიული ვებლა-შემოხლის შემდეგ ცოლ-ქმარნი ერთმანეთს განშორებია. სხვა და სხვა ოთახში დაწოლილან. აქედან აშკარად სჩანს, რომ უფულობა არ შეიძლება ეურნალის შეუძენლობისათვის გასამართლებელ საბუთად ჩაითვალოს. არსებითად ორივე: ჩვენი ფულიც და „ეშმაკის მატრახიც“, ქაღალდია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ღირებულება დღიით-დღე ეცემა, „ეშმაკის მატრახისა“ კი თან და თან ზევით იწევს.

აქედან ერთადერთი დასკვნა ასეთი გამოდის:

უთუოდ უნიკონო უოველმა მოქალაქე

# „ეშმაკის მატრახი“


დღევანდელ პირობებში „ეშმაკის მატრახი“ პირველ მოთხოვნილების საგანთა შორის შეიძლება ჩაირიცხოს. რედაქციის ყურამდე უკვე მოაღწია მოსალოდნელმა სამწუხარო ცნობამ: ამბობენ ვაკრობა-მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს „ეშმაკის მატრახზე“ სახალმწიფო მონოპოლია გამოაცხადოსო. „ეშმაკის მატრახი“-ს რედაქცია თითონ ფიქრობდა ჩვენს მთავრობაზე მონოპოლია გამოეცხადებია და ამ ცნობამ დიდ საგონებელში ჩაგვადო. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნული ფრაქციები არ დაგვთმობენ და ჩვენს შესახებ შეკითხვასაც შეიტანენ, მაგრამ საფრთხე მაინც დიდი მოგველის.

მაშ იჩქარეთ მოქალაქეო შეიძინოთ

## „ეშმაკის მატრახი“

ვიდრე ის ვალუტის საგნად არ გამხდარა.

უძჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს.



### სამშვიდობო კონფერენცია



ამაზე მყუდრო მშვიდობიანობა მხოლოდ სასაფლაოზე შეიძლება.

### საოჯახო კაპელა



საქართველოს კოპერატივთა კავშირის მაგალითს რომელმაც დააარსა მომღერალთა კაპელა თითქმის ყველა ოჯახში გაუჩნდა შიმბაძველები. ამ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე სანოვანის სიმკირემატ.

# საკითხი ძალთა შესახებ.

ისე მწვავეთ ძალების საკითხი არასოდეს არ მდგარა, როგორც ეს დღესაა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ძველი მთავრობის დროს, როცა თფილისში მრეწველობა ჰყვავდა დილა აღრიან ძალებს იჭერდენ, ატყავებდენ და ხელთაჰმანებს აკეთებდენ. ამის მიზეზით იყო, რომ ძველათ ხელთათმანები ბევრი იშოვებოდა და ძალები კი ნაკლებათ. ქართველი ბურჟუაზია, („საქართველოს“ რედაქციიდან) დღესაც მოწადინებულია გატყავების საქმეს სათავეში ჩაუდგეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძალებზე ვერ მიუტლია.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით ამ ვაზდ თფილისში 17,924 დიდი ძალის იკვებება, 25,079 საშუალო ახოვანებისა და 42,113 წვრილი, ანუ ფანიის ჯიშისა. საშუალო ანგარიშით თითო ძალზე დღეში 1/4 გირვანქა პური და 1/8 გირვანქა ხორცი რომ ვიანგარიშოთ მივიღებთ 575 ფუტსა და 29 გირვანქა პურს, ხოლო 287 ფუტ ხორცს. თვეში უეჭველია იმაზე 30 ჯერ მეტი დაიხარჯება, რაც დღეში, ხოლო წელიწადში თორმეტჯერ მეტი, ვიდრე ერთ თვეში. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

ალბათ ამ გარემოებამ გამოიწვია საერთო ამხედრება ძალების წინააღმდეგ და გასული თვის შვა რიცხვებში მოხდა მრავალრიცხოვანი კრება მოქალაქეთა მეთვრამეტე სამილიციო უბნისა. კრების თავმჯდომარემ ვრცელს სიტყვაში ნათლად გაარკვია ძალების საჭიროება მეცხვარისათვის და საზოგადოთ გლეხი კაცის მეურნეობისათვის.]

— ბატონებო, ძალის სდარაჯობს ცხვარს, ღორს, ძროხასა და სხვა პარუტყვეთ ძალის სდარაჯობს აგრეთვე გლეხის სახლ-კარს. ამისთვის, ვამბობ მე, ძალის სრულიად უსარგებლო არ არის სოფლის მეურნეობისათვის, თუმცა ხარსა და ძროხას მეტი უპირატესობა უნდა დაეთმოს.

თავმჯდომარეს შეეკამათა ევტიხი კულაძე, რომელმაც ყველასათვის აშკარა ჰყო არა თუ ძალის საჭიროება, არამედ ისიც, რომ იგი შინაური და თანაც ოთხფეხი ცხოველია. თავისი სიტყვის მეორე ნაწილში ევტიხიმ განაცხადა:

— ჩემის აზრით ძნელი გამოსარკვევია ძალის უფრო სასარგებლოა, ძროხა, თუ ხარი. ყველას თავისი დარგი სამსახურისა აქვს და ვინც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სარგებლობასაც ის მოიტანსო“.

ევტიხის შემდეგ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა თევდორემ. ის შეეხო კერძოთ მოქალაქე ძალებს და ნათლად დაასურათა ქალაქელი ძალების უმწეო მდგომარეობა.

— ჩემის აზრითო, — განაცხადა თევდორემ-სოფლის ძალის ბევრათ უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე ქალაქისა. ქალაქის ძალის ისეთ

ეკონომიურს პირობებში იმყოფება, რომელიც მრავალმხრივ გაუმჯობესებას მოითხოვს. მართალია აქ სამსახურიც ნაკლები აქვს, მაგრამ მდგომარეობა მაინც აუტანელია.


კითხვა ძლიერ გამწვავდა. ჩაეწერა 87 ორატორი. ყველას სურდა თავისი წველი შეეტანა ძალთა საკითხის გარკვევის საქმეში. ღამის თერთმეტ საათზე თავმჯდომარემ საზოგადოებას წინადადებით მიმართა: კრება დაეხურათ და კამათი მეორე დღისათვის გადაედოთ, რაიც ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა.

თავმჯდომარემ პირველი კრება დახურულათ გამოაცხადა.

მეორე კრებას ძალთა საკითხის შესახებ საკმაო საზოგადოება დაეწრო. თავმჯდომარის წინადადებით გამოყოფილ იქნა საკითხიდან ნაწილი ქალაქის ძალთა შესახებ და მსჯელობაც ამ ფარგლებში მოემწყვდა. ევტიხიმ კვლავ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა და გაიმეორა გუშინ ნათქვამის თითქმის უმეტესი ნაწილი. ასევე მოიქცა თავმჯდომარე და კრების დანარჩენი ორატორებიც. ახალი სიტყვა დღეიანდელს მსჯელობაში ხარიტონმა შეიტანა. იმან მედგრად გაილაშქრა იმ ბარბაროსთა წინააღმდეგ, რომელნიც ძალებს კულებს სჭირან. „ის ძალის რაღა ძალია, რომელსაც კული არ ამშვენებს. ძალის კულით ლაპარაკობსო“ დასძინა ორატორმა და საერთო ტაში გამოიწვია.

შემდეგი კამათი, კრების დახურვამდე, ძალის კულის გარეშემო ტრიალებდა, მაგრამ საზოგადოება ერთ გადაჭრილ დასკვნამდე ვერ მივიდა. თევდორეს აზრით კული ძალის სრულიადაც არ სჭირია, მხოლოდ ამძიმებს და სამსახურის პირნათლად ასრულებას უშლის. კრების თავმჯდომარემ გულახდილათ განაცხადა, რომ ის კარგათ ვერ არის გარკვეული ამ საკითხში და არ შეუძლია კენჭის ყრის დროს ხმა შეგნებულათ მისცეს ამა თუ იმ შეხედულებას და ამისათვის თავს იჭერს. კენჭის ყრა თითქმის უვიდჯერ განმეორდა, ვინაიდან ხან ერთი მიმართულება გამოდიოდა გამარჯვებული, ხან მეორე. უკვი ღამის თორმეტი საათი შესრულდა, მერვეჯერ კენჭის ყრა მოუხერხებელი დარჩა და კრება მეორე დღისთვის გადაიდვა.

მესამე კრებაზე „საკითხმა ძალთა შესახებ“ ახალი მიმართულება მიიღო და ხარიტონმა ყველასათვის თვალსაჩინო სიტყვით გაარკვია, რომ ძალის, უკეთუ ის სასარგებლო არ არის დიდს საჭიროებას და აუცილებლობას არ წარმოადგენს მოქალაქისათვის. ამის შესახებ თევდორემაც ცხარე სიტყვა წარმოსთქვა. თავმჯდომარე კრების იძულებული შეიქნა ორატორი წესრიგისაკენ მოეწვია. დავითის აზრით ქალაქის მცხოვრებისათვის კატა უფრო სასარგებლოა, ვინაიდან ქალაქში



მგელი არ იცის, ხოლო თ გვი რამდენიც გნებავთ იმდენია. პეტრემ აღნიშნა ის მტრული განწყობილება, რომელიც საზოგადოთ ძაღლსა და კატის შორის დამყარებულია. ვარდენის აზრით ეს უთანხმოება ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული. თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს ძაღლისა და კატის სარეგბლობის შესახებ. ხმის უმეტესობათ კატამ უპირატესობა მიიღო. ამ გარემოებამ დიდი კამათი გამოიწვია. შემოვიდა შეკითხვა: „ჭკონდა თუ არა კრებას უფლება კატაზედ მსჯელობისა“. ილაპარაკა 14 ორატორმა და გამოიჩინა, რომ დღის წესრიგში დასმულია „საკითხი ძაღლთა შესახებ“ და არა „კატათა“. ღამის თერთმეტ საათზე ზურაბის წინადადების თანახმად კრებამ აირჩია კ-მისია, რომელსაც გადაეცა დასამუშავებლათ „საკითხი ძაღლთა შესახებ“. კომისიაში არჩეულ იქნა 21 კაცი.

პირველი სხდომა კომისიისა „ძაღლთა საკითხის“ შესახებ, მოხდა სამშაბათს. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ზურაბი. თავმჯდომარემ ვრცლად, ისტორიულად გააშუქა „ძაღლთა საკითხის“ წარმოშობის ეტაპები. შეეხო პირველი, მეორე, მესამე კრების ოქმებს და მოუწოდა კომისიის წევრებს ნაყოფიერი შრომისაკენ. თვედორემ თავის ვრცელსა და დასაბუთებულ სიტყვაში კვლავ მკაფიოდ გააშუქა საკითხი ძაღლის კუდთა მოკვეცის შესახებ და უწოდა ამას ველური საქციელი, რომელიც ბუშმენებს უფრო შეეფერება, ვიდრე კულტურა მოსილ ერს. შეიდი საათის აზრთა გაცვლა — გამოცვლის შემდეგ კომისიამ საჭიროთ დაინახა ცალკე „პოდკომისის“ არჩევა, რათა აღნიშნული საკითხი, საბოლოოდ დასკვნის, გამოტანამდე, ყოველმხრივად იქმნეს გაშუქებული და შესწავლილი. პოდკომისიაში არჩეულ იქნა 9 კაცი.

პოდკომისიის სხდომაზე აშკარა შეიქნა საჭიროება „მცირე კომისიის“ არჩევისა, რომელსაც უნდა გადაეცეს საკითხი საფუძვლიანი მოხსენების წარმოსადგენათ. მცირე კომისიამ სამი კრების შემდეგ გამოაქყო თავის წევრთაგან ცალკე „სექცია“ სამი კაცისაგან შემდგარი, რომელთაც დაავალა „ძაღლთა საკითხის“ ყოველმხრივი შესწავლა და მასზე შესაფერი მოხსენების გაკეთება.

სექციის პირველ კრებას დაესწრო ორი წევრი და ვერცერთმა საკითხმა კენჭის ყრის დროს ხმის უმეტესობა ვერ მიიღო.

მეორე კრებას დავესწარი მარტო მე და ვადგენ ამ მოხსენებას, დამუფუნებელი კრების ფრაქციათა კომისიებისა, მცირე კომისიებისა და სექციების საყურადღებოთ.

**მორიელი.**

## ბუტუნას რადიო

**ზოთი.** ქალ. სასურ. მალაზიამ 150 ვაგონი პური გამოიწერა ყირიმიდან, ხოლო 200 ვაგ. სიმინდი ქვიტირიდან. ქალაქი უზრუნველია ამის მიღების შემდეგ სურსათ სანოვაგით. მცხოვრებლებს შეუძლიათ ხსენებულ სურსათის მიღებამდის სადაც და როგორც უნდათ ისე იყიდონ.

კოლპერატვიმაც გამოაცხადა „კულები“ (ოჩერედი) აღარ იქნებაო“ ვინაიდან საქონლის გასასაღებლათ შინაური ბაზრის მოხაზულობა აღარ ყოფნის და უცხოეთში აგზავნის რწმუნებულს მუშტარის საძებნელად.

დიდი კუნძულის ხიდი დაამთავრა ინჟინერტენოლოგმა სპირიდონა რაჭველმა. მან ნიუიორკიდან „ბრუკლინბრიჩი“ს ხიდის გეგმა მოიტანა და იმ ყაიდაზე ააგო ხსენებული კუნძულის ხიდი, რომელზედაც ორ-ორი კაცი ქვეითად თამამად გადის. ამ ხიდის ასაშენებლად შოაგრობიდან გაღებული ფულები, 1 1/2 მილიონი, სანახევროდ არ იკმარებდა რომ სასურსათო მალაზიას ამდენივე სესხად არ მიეცა ქალაქისთვის. ხოლო მირიან ანთაძეს ნახუტის კომისარია) რომ ჰკითხოთ, ქალაქმა ასესხა მალაზასო.

სანიტარულ გადასახადის კომისიაში უმრავლესობა სოციალ-ვაჭრები გავიდენ. ხარკი იმდენად უდიერად გააწერეს ვაჭრებს, რომ აშკარად დაიწოდილა პროფესიული იდეა პარტიულით, ხოლო ეს უკიდურესობა ს. დ. ფრაქციამ 1 ნახ. მილიონი 2 ნახ.-მდე „შეამცირა“.


ქალაქმა სანიტარულ კომისიას საქონლის მეურნეობაც მიანდო. უკანასკნელმა 2000 ძროხა და 3000 ღორი უკვე მოიყვანა ქალაქში გასაშენებლად. საძოვრად მიჩენილია ქალაქის ბაღი, ხოლო სამწყვდევათ დიდი ტაძრის ეზო.

**სუშსა.** (ღებეშა) ოზურგეთის ერობას გადაუწყვეტია ფოთიდან სუფსამდე გზა სენაკის ერობამ გააკეთოს.

**სუშსა.** ღებეშა. სენაკის ერობას გადაუწყვეტია, ფოთიდან სუფსამდე გზა ოზურგეთის ერობამ გააკეთოს.

**სუშსა.** ღებეშა. ფოთის ქალ. თვითმართველობამ დაადგინა. ფოთიდან სუფსამდე გზა ამავე გზის მეეტლებმა გააკეთონ. გზის კეთებას უკვე შეუდგენ მეეტლები თავიანთი და აგრეთვე მგზავრების ხარჯით.

**ლანჩუთი.** ქალ. თვითმართველობამ დაადგინა, შეჩერდეს ელექტრ. სადგურის შენება და ლაშის დელის კალაპატის შეკეთება, ვინაიდან სასწრაფოთ უნდა აშენდეს ქალაქის თავის კაპუეტ მიმინოისთვის საჭირო ძარი.



რაზმი გორის გვარდიისა სოჩის მახლობლათ შავი ზღვის პირის რკინის გზის გვირაბთან.


## ❁ დეკემბრის 12. ❁

დეკემბრის 12 სრულდება ორი წლისთავი სახალხო გვარდიის დაარსებიდან. ჩვენმა რედაქციამ დაადგინა გამოსცეს ამ დღისათვის სპეციალური ნომერი „ემშაკის მათრახის“

## სახალხო გვარდია.

ქურნალი დაბეჭდილი იქნება საგანგებო ქაღალდზე და დასურათებული ძრავალი ილიუსტრაციებით გვარდიის ცხოვრებიდან.

### ნომერი გამოვა დეკემბრის 12-ს.



ნ. ფ. 24/22 [3-]

თავსატყუარი საკითხი.

**საბალონო ითანგნი**  
თავი 6

1) ამისა შემდგომად ნიკაშვილ იესო მღვწისა ვალოლოასასა, რომელი არს წინდობისა.

2) და მისდევდა მას უხი მნაველო, რამეთუ მხედველის სახნა-ულთა მისთა.

3) და აღვიდა მთასა მ მუნ დასვდა მონათ-ითუხით თვისით.

4) მ იყო მთასლებულო პასქა, ლეუობა იგი უხიითა.

5) აღიბილა თველნი. იესო მ იხილა ხამე-თო მხავალი იხი მოვალს მისა მჩქა თუ-ლიძესა: ვინა ვოყიროთ პაყი, ჩათა სჭამე-ამათ?

6) ამას ია იყყოა ეამთსყიდა, ბოლოთა-ყნყლდა, ჩა ვფულოვებოა ყოფად.

7) ჩქა იესოს ეხმამონათურო მისთაგანმან-აქა ახს ყხმა, ჩომელოსა ა ბუთ პაყი ძხითილისა მ იხი თვენი.

8) ჩქა მათ იესო:

**საბალონო ითანგნი**  
დასხით პაყები ესე მ დასხდა პაყები იგი ჩიქსივით ვითაჲ ხუთ ათას ორენ მონებენა იესო პაყი იგი ხუთი მ მისყმან-11) მონათუთა მ მონათინი მისყმანს გხს. მახ. 12) მ ვითაჲცა ვანასძლეს, ჩქა იესო მონათ-გათა თვინთა: შექჩიბოთ ნეშქი იგი ნათ-სხევი, ჩამეთყ ყოველი მისთაჲნი ნეშო-ახს ეკონომოყი.

13) ბოლოთ მათ შექჩიბებს მ ალავსებს ათ-თო ჩმეჭი ვოროხო ნამყსრეფითა ხუთთა მათ პაყისაგან ძხითილისათა, ჩომელო იესო პაყთა მათ, ჩომელოთა სჭამეს.

654

სასურსათო სამინისტროს საბჭო. ხუთი პურიო ხუთი ათასი კაცი... დარჩა 12 გოდორი ნამუ-სრევი! ამ ანგარიშით სამ მილიონ კაცს გააძღებს 600 პური და დარჩება ხ.ზინას 1440 გოდორი ნა-მუსრევი. ჩვენ მომარაგებული გვაქვს 200 პური, რომელიც გააძღებს ერთ მილიონს, ხოლო მისი ნა-მუსრევი დანარჩენ ორ მილიონს და დარჩება რამოდენიმე გოდორი ამერიკაში გასატანათ.

სახელმწიფო, სტამბა.

